

# შინაური საქმეები

№ 23.

კვირა, 13 ივნისი, 1910 წ.

აღმსნი: მუთაისი „შინაური საქმეების“  
რედაქცია

უოველკვირული გაზეთი.

შინაური: პარიზელი მისტიკა: — ხელისა; დატანჯული სამრეკლო: — ზობოურელისა; ყოვლად სამღვდლო ლეონიდეს მოგზაურობა გურიაში: — ენის გაჩენა: —

ტ. ჯაფარიძისა; წაღმა-უკუღმა: — წერილი ლეხუმიდგან: — მღვდელისა; ტეშმარტი გზა: — მღვ. ი. ლუკიანოვისა;

**უოველკვირულ გაზეთ**

**„შინაურ საქმეებს“**

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთაღო — კახაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ღ 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

## პარიზელი მისტიკა.

საუცხოვო ცნობებს იძლევა ქალბ. ნერი ფრანგულ ჟურნალ „Revue“-ს პარიზის ნომრებში შესახებ თანამედროვე პარიზელ ფარულ სექტებისა.

განსაკუთრებული თვისება თანამედროვე ფარულ სექტების უმეტესი ნაწილისა არის ქალის პატივისცემა მოძღვრებასა და მოქმედებაში. ამიტომ გასაკვირვებელი არ არის, რომ იგინი ასე იზიდავენ პარიზელ მანდილოსნებს.

ნერი სხვათა შორის გვისურათებს „მსოფლიო სარწმუნოებ-ს“ (Космическая религия) აღმსარებელთა კრებას.

ყოველ შაბათობით, დღის სამ საათზე, მოავეჯებულ პატარა დარბაზში, ფეხაკრებით,

სათითაოთ, ძლივს თუ აბრეშუმის იუბკების შრიალი ისმის ისე, იკრიბებიან ფარულ მოძღვრების საიდუმლოებში გაცნობილი რჩეული მანდილოსნები. მხოლოდ ერთ მამაკაცს აქვს უფლება დაესწროს ამ კრებას — მათ ხელმძღვანელ მოგვს და მოძღვარს, უ. ტემანლისს. იგი ხსნის კრებას მაგენტურ ნაკადების (ТОКЪ) მოწოდებით, რომლებსაც უზენაესი უფროსი და მოძღვარი სექტისა — ია-აზისი უგზავნის თავის აღმსარებლებს აფრაკიდგან, სადაც იგი ჩვეულებრივ იმყოფება.

გძელ წითელ მაყვლის ფერ ჩაღრში გახვეული, შავი აბრეშუმის ქუდით თავზე, მოგვი დადის მორწმუნეთა შორის, თითოეულს ეკითხება, როგორ სულიერ მდგომარეობაშია, სცდილობს, რომ ყველა თავისუფლად გრძნობდეს თავს.

იგი ხურავს ფანჯრის დარბებს, უშვებს ყვითელ ფარდებს. მღუმარებით მოცულ დარბაზს ანათებს მკირე ლამპის სინათლე; ლამპა სდგას ტახტთან, რომელზედაც მოსვენებულია „შეწირული“, გამსკვირვალე-მკრთალი სახის ცოლი ტემანლისისა

ახალგაზდა ქალი კითხულობს წიგნიდგან მოთხრობას შესახებ აურასა, აზიელ ცხადმხედველისა (ясновидящая), მოგვის ქალისა, რომლის თვალები ნივითიერებას იქითაც გასტკერიან და ეამთ, საზღვარს იქითაც. მისი ერთნაირათ გაბმული კითხვა დამაძინებელ საშუალების მაგიერობას ასრულებს, რომლის



დანიშნულებაა ჯერ აზრისა და შემდეგ სხეულის მიძინება.

ბოლოს, როცა მთელი კრება ტკბილ თავდავიწყებას ეძლევა, მკითხველის ხმა სწყდება და მდუმარე ბნელ დარბაზში გაისმის ხმა მოგვისა, რბილათ, ფრთხილათ, რომ არ დაფრთხოს უძრავად მიძინარე მანდილოსნები... იგი ამბობს: „მოვისვენოთ ერთათ მშვიდობისათვის, ჩვენ სულთა ევოლიუციისათვის. დავაძინოთ ჩვენ სხეულთან ერთათ ყოველგვარი შფოთი, დავივიწყოთ ის, რაც იყო, ნუ შეგვეშინდება მისი, რაც უნდა იქმნეს. შეუერთდეთ საზოგადო სიბრძნეს, დამშვიდებულ გულით. დავისვენოთ ერთათ... სანთელი ჰქრება... არ ისმის არავითარი შრიალი. ძილში, ასე ასწავლის მოგვი, დედაკაცი. როგორც სადაფი (равовина), ისე შლისთავის სულს და მასში თავისუფლათ ისხმის ასტრალის ფლიუიდი.

მოგვი ამბობს კიდევ... ჩემათ, ძალიან ჩემათ... ჩვენ ერთათ დავისვენოთ წყნარათ და მშვიდობით“. სიჩუმეა... ნიღბანა!

გადის საათის სამი მეოთხედი... უეკრათ გაისმის აბრეშუმის მსუბუქი შრიალი, წყნ რი ჩურჩული—ვიდაც მძინარეთაგანი იღვიძებს და უბრუნდება სინამდვილეს, ეს თითქოს ნიშანიაო, სათითაოთ ყველანი იღვიძებენ. მოგვი დაიხარება მანდილოსნებში, ხან ერთს დაეხრება და ჰკითხავს, ხან მეორეს.. თუ ძალში ნანახი ვანცხადება ნაშეტანი საიდუმლო არ არის, იგი ცოტა ხმის აზღვრებით აუწყებს მთელ კრებას, თან უხსნის, უმარტავს.

ჩვეულგვრივ მხოლოდ ერთი ცხად-მხედველი „შეწირული“ ღირსი ხდება ხოლმე ჩვენებისა. თავის ტახტის ბალიშებში ჩაფლული, ქრელ შალში გახვეული, იგი სრულიად უგულვლოთ უამბობს კრებას თავის ნახულ განცხადებებს, რომლებშიდაც თვითველი ეძებს იმ აზრს, რომელიც შეადგენს მის სასურველ საიდუმლოებას. რაც შეეხება კოსმიურ სარწმუნოების თეორიულ მხარეს, იგი უფრო მეტი გარკვეულია. ამას მოწმობს ამ სარწმუნოების ზოგიერთი ფორმულები, მაგალითად: არის მხოლოდ ერთი მცნება,—მცნება სიძარტლისა და მოწყალებისა. არის მხოლოდ ერთი

თი ცოდვა: ამ მცნების დარღვევა. სიცოცხლე წმიდაა, მიტომ რომ იგი არის გამომეტყველება ღვთაებრიობისა. არის მხოლოდ ერთი არისტოკრატია (მაღალი წოდება)—არისტოკრატია სულისა“.

თუ კოსმიურ სარწმუნოების მიმდევართა შორის დედაკაცი ქადაგის როლს იჭერს, ოკულტისტურ ქრისტიანულ სექტებში იგი სამღვთო მოქმედების გულია და დასაბამი მისი მოძღვრებისა. ოკულტისტების სექტის მოთავე დოქტორ როზინეს ბინაზე სდგას განსაკვიფრალი ქანდაკება წმ. ფილომენასი მსგავსათ კათოლიკეთა ღვთის მშობლის ქანდაკებისა. ყოველ კვირას აქ იკრიბებიან ოკულტისტები წმინდანის თაყვანსაცემათ და თვის მოძღვრის და მოგვის მოძღვრების მოსასმენათ. წმიდა ფილომენამ, ასწავლის იგი, მიიღო საფრანგეთი თვის საფარველ ქვეშ; თვის ფარათ იგი იფარავს მას ყოველი უბედურებისაგან და პარიზელ ოკულტისტებში ამზადებს ლაშქარს, რომლის შემწეობით მიიყვანს თავის სამფარველო მხარეს უკანასკნელ. გამარჯვებამდის. მაგრამ ამას გარდა ღმერთმა მისცა მას უხილავი თანაშემწეებიც—ანგელოსები, რომლებიც აღანთებენ კაცთა შორის საღვთო სიყვარულს და წარმართავენ მათ გულს წმ. ფილომენას გვეგების აღსასრულებლად.

ქრისტიანულ ოკულტისტებათ ამ სექტას მიტომ უწოდებენ, რომ მასი წევრება პატივს სცემენ სახარებას.

ქრისტეს სახელს ატარებენ აგრეთვე ეზოტერული ქრისტიანები, რომელთა მოძღვრება წარმოადგენს აღრეულ კაბალას და ქრისტიანობას. სათავეში მდგომი ოკულტისტი ოცნებობს ტაძრების აშენებაზე, რომლებშიდაც სამღვთო მსახურება უნდა სრულდებოდეს ამორ მოძღვრებათა თანახმად, და სადაც ხატების თანასწორ გამოიყურებადეს კაბალისტურა ნიშნებიც. ჯერ კი მორწმუნენი უბრალოთ იკრიბებიან მასთან ბინაზე.

(რეზუსი № 21 1910 წ.)

აქედგან დასკვნა აღვილი გამოსაყვანია: ურკლავით აღმავანს არ შეუძლია იცხოვროს

და ამიტომ, როცა ქვემარტ სარწმუნოებას კარგავს, ახალ ცრუ სარწმუნოებას თხზავს. ასე იქცეოდა ძველი კაცობრიობაც: როცა ქვემარტ ღმერთს ივიწყებდა, კერპებს აღმერთებდა. ეს ძველი და ახალი მაგალითები უნდა გვაიძულებდეს ყველას, ფრთხილად მოვეპყროთ განცხადებულ სარწმუნოებას, რადგან აღამიანის გონება უმაღლესს და უკეთესს ვერას შექმნის, როგორც ამაში გვარწმუნებს ზემო მოყვანილი პარიზელი მაგალითები.

ხელი.

### დატანჯული სამრევლო.

გურიის ეპარქიაში არის ერთი ძველი მძლე სია. თუმცა მას სახელა — „შტატი“ არ ერქვა იმ დროს, მაგრამ ახლანდელ შტატის შნიშნებობას, რომ შეუდაროთ ეს ეკლესია უსლოგის დროიდან მუდამ შტატი იყო. ამ ეკლესიას სოფ აბოთვანის ღვთის მშობლის ეკლესია ეწოდება. ამ ეკლესიას მრევლს შუადგენდა უმეტეს ნაწილად ორი გვარის კაცა. მუდამ საკუთარი მღვდელი ეავდათ, ჰქონდათ განუწევრეტილი წირვა-ლოცვა და ცხოვრებდნენ თანხმობით, ძმურათ და ქრისტიანული წესით. აქ წირვა-ლოცვის მსმენა, ზიარების დროს, თუ შაბათ კვირებით, ნამდვილი დღესასწაული იყო. გულისმოდგინეთ და სოსოებით წირვა-ლოცვის მსმენის შემდეგ, როცა ეკლესიის გადავანში გამოეფინებოდა ხალხი, იოსასიათონო საუბარი. ხანდასხან დროს შესთვერი ხუმრობა-შექცევა ჰქონდათ. უნგრისი უფროსს თვალში შესტქეროდა და უფროსებიც ერთი შეხედვით და ზატოვანცემით ეპურობოდნენ. მხსოვს. ჩემს ზატოვანობისას, თუეღობობის კვირაში, მღვდელი, ლოცვანში შუადამის დად ლოცვას და დღის დიდ ლოცვას ლოცულობდა (ეს ლოცვები, უფრო მეუღანბო ბერებისათვის არის შედგენილი), რომელიც ორ-ორი სათი მაინც გრძელდებოდა. ეს ლოცვები, ცისკრის და ზარაკლის-დაუფდომელს გარდა წასაკითხი ლოცვების, და ამის სიგრძე ლოცვებს, ასე გულისმოდგინეთ და

დაკვირვებით ისმენდენ, რომ გვერებოდათ ართმეტიკულ ამოცანებს აკეთებენ, რომ ასე დაკვირვებით გაჩერებულაო. ნეტაი ახლაც ისეთი შტაციც, შეურეველი სარწმუნოება იქონი საცოდავ ჩვენ ხალხში... აი სწორეთ ამ ქრისტიანულ წესს, სცხოვრებდა ზემო ნახეენები ეკლესიის მრევლი, როცა საუბედროთ ვიღაც შტატების დამწეობი ცამციაშვილი ჩამოვიდა გურიის ეპარქიაში. დაწეობას და სიკეთის მოტანის მაგიერ ეს საცოდავი მრევლი ზნეობრივ-ქანებრივით ისე დასაჯა, რომ ურიის შესაბრალელებათ გახდა... უხსოვარ დროიდან არსებული ეკლესია გაუქმა და წირვა-ლოცვა მოუსპო. საქმე ასე დაუწა: ამ სოფელზე მეორე ზატარა სოფელია მობმული. ამ სოფელის შუაში მდინარე „მერე“ ჩაუდას, გაღმა მხარეს (ჩომეთის სოფელს) შტატი დაუნიშნა, სადაც 35 კომლის მეტი მცხოვრები არ იყო და არც ეკლესია ჰქონდათ. ეს ძველთა ძველი ეკლესიის მრევლი გაგლიჯა, 15 მოსახლე წყალ-გამომღელი მრევლი ახალგაზსნილ შტატს მიუმატა და ძლივს 50 კომლათ შუავსა და მღვდელიც მიუნიანა მაშინვე. ამ დროიდან რომ ეს მრევლი ღვთისმშობლის ეკლესიაზე ისმენდენ წირვა-ლოცვას უეკლესობის გამო, ახლა ეს ძველი ეკლესიის მრევლი ამათთან გახდენ წირვა-ლოცვის სათხოვრათ. — დანარჩენი ღვთისმშობლის მრევლი კვირიკის ეკლესიას მიაწერეს და ვითომ ერთ მრევლათ გახადეს, რომლის შეერთება შეუძლებელი იყო და მართლაც შეუძლებელი გახდა. ამ უმგვანო წეობილებამ (უფრო არეუ-დარევა) გამოიწვია სჩივრები, თხოვნები, უქაზები კანტორასა და უწ. სინოდშუა ხან ასე წვეტიდენ და ხან ისე, მაგრამ ხსნა და საქმის ვითარების კანონიერათ გადაწვეტა აღარ მოხდა. მრევლის ხელაღებობით თხოვნა — დადადა სასულიერო მართებლობის წანაშე და უქაზებზე უქაზებმა ის მოწალებო მოიღო, რომ მრევლს ორმოცო კომლი გვართ კეუსალები კიდევ გამოგლიჯეს და ჩომეთის შტატს მიუმატეს, რადგან გამოიარევა, რომ უბედურს და შხამათ მოსაცონან ცამციაშვილს სულ ცოტა მრევლით გაუმატებია ჩომეთის ეკლესია. ამ შტარე მრევლით მღვდელი თავს ვერ ირჩენსო და ეს საკუთარი შტატის და წირვა-ლოცვის მთხოვნილი მრევლი მიუნიანეს მარჩენლათ. შეებრალეობის და კანონიერა თხოვნის დაკმაყოფილების მაგიერ

კიდევ მეტად დასაყეს!! ეს მრევლი სიშორის გამო, ჩომეთის ეკლესიაზე თავის დღეში ვერ ივლისო, ეს არაის უფიქრია. იფიქრეს მხოლოდ, მღვდელი უზრუნველ ვუთ მრევლითო — ამდენი ტანჯვა წამებოთ ეს მრევლი კი დაეცა ქონებრივით, დაეკარგა სასოება, გაუწვდათ ილაყი მოთინევის, მაგრამ თითო ორთა კიდევ რჩებოდა მრევლში, რომ არ კარგავდა სასოებას, ეგებ მოგვხედოს ვინმე ღვთიანმა, გაიგოს ჩვენი სიშორთლე და გაგვიშტატონ ეკლესიაო... უბედურ კარს, ქვა აღმართში მოქაიათ. ვიდაც ღვთის შტერმა, ე ღვთის მშობლის, ძველი ეკლესია დაწვა. ამით კი მართლა სასოწარქვეითილებაში ჩავარდა ეს საცოდავი მრევლი და სამუდამოთ დაღვა ზავითა. — ეს გარემოება გაიგო განსვენებულმა ყოვლად სამღვდელმ აღექსნდრემ (იმ დორს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა); ხალხი გამხსნევა, უბრძანა: თქვენ როგორმე გაიჭირვეთ და კარგი ქვის ეკლესია ააგეთო, მე გიკურთხებთ და კიდევაც გაგიშტატებთო. აღთქმამ ხალხს მთლათ დააწვა წარსული ორმოცე წლის განმავლობაში მათ თავზე დატყეხილი უბედურებანი. მიენდვენ ყოვლად სამღვდელს აღთქმას, დაწვეს ეკლესიის შენება; დაეღეს თუ რამ გაჩნდათ: ცხენი, ძროხა და უგანსენელი ქათამიც. ჩამოთხრევს ქველმოქმედთაგან წვლილი და ამ გვართ, როგორც იქნა, დიდი, გაჭირვებით აკეს მშენებრი ქვის ეკლესია, რომელაც ოცდაათა ათას მანეთზე მეტი დაუჯდათ. მობრძანდა ყოვლად სამღვდელმ აღექსნდრე, ეკლესია ძალიან მოქაინა, ხალხი დალოცა, უკურთხა ე კლესია და ადუთქვა: ცნობებს შეკრებ, წარვადგენ და უთუთოთ გაგიშტატებთო. უბედურ მრევლს კიდევ უბედურება არ ამოხდა! განსვენებული ყოვლად სამღვდელმ აღექსნდრე გადაიფანეს და მრევლი კიდევ წინანდელ უბედურ მდგომარეობაში დარჩა. ახლა მე აღარ ვიცი, და თუ ამ მრევლს კიდევ სასოება ოდნავ მაინც ჩარჩა გულში, ვაჟა მის ქრისტანულ მოთმინებასა და მხნეობას!!

როგორც ვიცით მათი შეუფება ყოვლად სამღვდელმ, გურია-მეგრედიის ეპისკოპოსი დეონიდე, რევიზიით დაბრძანდება გურიის ეპარქიაში და თუ ამ მრევლს მათმა ბედის სიმავემ კიდევ არ დაქრს და არ ჩაუშვია მის შეუფებას მიბრძანება ამ ეკლესიაზე, ჩვენ დარწმუნებული ვართ, მისი შეუ-

ფების განათლებული განება, სულ ადვილათ გაიგებს ადგილობრივ დახედვით, თუ რა უსამართლობა სჭირს ამ ტანჯულ მრევლს და ბოლოს მოუღებს ამით სატანჯველს; მით რომ გაუშტატებს ამ მათს ქრანხულს ეკლესიას და მით გაუშართლებს ბიძამისის, განსვენებული ყოვლად სამღვდელმ აღექსნდრეს აღთქმას ამ ტანჯულ მრევლს.

ბობოურელი.

ყოვლად სამღვდელმ ლეონიდის მოგზაურობა გურიში.

შემდეგი გასასინჯი ეკლესია იყო ციხისა. ციხის ეკლესია მეტად პატარაა, მისი სიგრძე არ აღემატება საფენ-ნახევარს. როგორც კედლების მხატვრობიდანა სჩანს, ეს ეკლესია აუშენებია ვილაც თ. ბეჟან ნაკაშიძეს. სამწუხაროა, რომ კედლის მხატვრობა და წარწერები გადისულა და ძნელი გასარჩევიათა კაციხათვის. ვითომდა გასადიდებლათ ეკლესიისა წინადამ მიუდგამთ საქალგობო და ამით ეკლესია სულ დაუბნელებიათ. ამ ეკლესიას ჰქონია ძვირფასი ძველი ხატები, მაგრამ ვილაცის ბინძური ხელი შეხებია და გაუტაცნია, შერჩენია კიდევ რამდენიმე ხატი და მათ შორის ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა. ეს ხატი სწორეთ ქართულ გემოვნებაზეც გაკეთებული. ღვთიმშობელს ხელში მაცხოვარი რომ არ ექიროს და ქართული ჯილა (სამეფო გვირგვინი) რომ ედგას, იგი ქეთვიან დედოფალი გეგონებათ. ამ ხატს აქვს მარგალიტით შეკერილი ჰერანგი, შიგ ძვირფასი ქვებიც ჰქონია ჩაქსოვილი, მაგრამ ისინი გამოუცლიათ და ოსმალური ფულები ჩაუტყერებიათ. ეს ეკლესია ყოფილა ციხის ეკლესია და სხელიც დღეს ესევე ჰქვიათ. თვით ეკლესია მალლობზეა, მაგრამ ამაზე უფრო მალლობზე მდგარა ციხე. ეკლესიას და ციხესაც გარეშემო დიდი ქვიტკირის გალივინები ჰქონია, როგორც ბაგრატის ტაძარს ქუთაისში. ავედი ამ ბორცვზე და რა ნახა ჩემმა თვალებმა: მთელი გურია ხელის გულზე გადამეშალა!

დიდ ხანს ვსტკებოდი დიდებული სანახაობით, თვალ წინ წამომიღდა ის დრო, როცა აქ სიცოცხლე სდუღდა, როცა ეს მინგრეული და მიწასთან გასწორებული ციხე, ამაყთა გადმოჰყურებდა ამაყს გურიას, მაგრამ დღეს რაღაა? არაფერი, სამარეთ ქვეულა ყველაფერი. ქვეშაირით „ამოიარს ყოველივე წარმავალი და ცხოვრება ესე უმედგრეს აზრ-დილისა და სიზმრისა“... დღეს. ამ ოდესმე დიდებულ ციხე ქალაქში, მიწის გამმიჯნავს საიდგანაც გზატყეცილის ვერსის ქვა მოუტანინებია და შიგ ციხეში ჩაურგავს; სხვა ამას გარდა სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარაფერი აღარა აქვსრა და სამარისებური ს-ჩუმე სუფევს. ამ მწარე ფიქრებში რომ ვიყავ გაბნეული, ძირიდან ყოვლად სამღვდელოს ქადაგების ხმა შემომესმა. პარაკლისი გაეთავებინა მღვდელს და ყოვლად სამღვდელო გარეთ გამობრძანებულიყო საქადაგებლად. იგი უარძანებდა: მე რომ დავდუმდე და არა ვთქვარა, თვით ეს დიდებული ნაშთები ქადაგებენ, ვინც ყოფილა თქვენი მამა პაპა, ღმერთმა ჩუ ჰქნას, რომ თქვენ დაგეკარგოთ სარწმუნოება. რაღა პირით წარუდგებით იმათ ვისაც ოფლისა და სისხლის ღვრით აუშენებიათ ეს ციხე ეკლესია. არ გეტყვიან: რათ დაჰკარგეთ ჩვენგან აშენებული ტაძრები, რათ დაივიწყეთ მამა-პაპის საღოცავები, რათ მიატოვეთ ქრისტიანობა?ო არა თქვენ ჩვენი ჩამომავლები არა ხართ, ჩვენი არა გცხიათ რაო?ხალხი გატაცებით უსმენდა მქადაგებელს და მერე ერთი მეორეს უხსნიდა და უმარტებდა გაგონილს. ერთს სოფელში მკითხეს—ეს დალოცვილი წინეთ რომ მობძანებულიყო და ესე დავერიგებინეთ, აღარ აეყვებოდით ურწმუნოების მქადაგებლებს და აღარ გაგარისხებდით ღმერთსაო. მე ვუპასუხე ეს მაშინ თქვენი ეპისკოპოსი არ იყო და სადაც იყო, იქ კიდევ ქადაგებდა მეთქი. აქ თავისთავად მაგონდება ყოვლად სამღვდელო ლეონიდის ცხოვრებლად შემდეგი ფაქტი: გურიაში რომ საჯაროთ სარწმუნოების წინააღმდეგ ქადაგება დაიწყეს, ყოვლად სამღვდელო დიდთ შესწუხდა, მაშინვე სთქვა: „ასეთი-

ქადაგება ხალხს დიდ უბედურობას უქადის და ახლი ესაქიროება ხალხს მღვდელმთავრის პატრონობა,ახლა უნდა დაუმტკიცოს მღვდელმთმთავარმა ერსაც და ღმერთსაც,რომ მას ნამდვილად უყვარს სიტყვიერნი ცხოვარნი და იგი სასყიდლით დადგენილი არ არისო.“რამდენიმე დღის ფიქრის შემდეგ, მისი მეუღლეა გაეშურა ქობულეთისკენ სადაც იმყოფებოდა იმ დროინდელი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი დიმიტრი. ეპისკოპოსი ლეონიდი გატაცებით უამბობდა ყოვლად სამღვდელო დიმიტრის: „საქართველოს ეკლესიას ედება ურწმუნოების ალი, ჯერ ეს საშინელი ცეცხლი გურიაში მოჩანს, მაგრამ თუ ეხლავე არ შევერთდით და აქვე არ შევანერეთ ეს ცეცხლი, სულ მოკლე ხანში მისი ალი გარს შემოურბენს მთლად საქართველოს ეკლესიასო. ვინ უნდა ჩააქროს ეს ცეცხლი? ვინ უნდა დაიხსნას ხალხი საშინელი განსაცდელისაგან? ყველაზე პირველათ და უმთავრესად ჩვენ, საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებმაო.“ როგორც გურიის მწყემსმთავარმა, უნდა გააგებინოთ საქმის ვითარება საქართველოს ექსარხოსს, უნდა შეაგონოთ მას,რომ დროებით ოზურგეთში დასახლდეს, მიგვიწვიოს თავისთან ყველა ქართველი ეპისკოპოსები და აქ გულ დამშვიდებით ყველანი ზედმიწევნით გავეცნოთ საქმეს, ე. ი. გავიგოთ რა აწუხებს ხალხს, რისთვის და რა საბუთით ჰყოფს უარს სარწმუნოებას, რომელიც აქამდე ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი მას. თუ დაეინახეთ, რომ ხალხი გატაცებულია შემცდარი პარების ქადაგებით, ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ და ნათლათ დაკარწმუნოთ იგი, რომ ურწმუნოება უგუნურობა და პირუტყვობაა, ურწმუნო ხალხი არ არსებობს არსად დედამიწაზე და ყოველგან, სადაც კი ურწმუნოებას ფეხი მოუქიდნია, ხალხი ზნეობრივით ვახრწნილა და ბოლოს მთლად მოსპობილა, გამქალა, გადაშენებულა; თუ ხალხი სარწმუნოების წინააღმდეგ ამხედრებულა იმის გამოისობით, რომ არ ვარგვანან მისი მსახურნი, მღვდლები, ან აუტანელად მიაჩნიათ მღვდლებისაგან შემოღებული წესები, გამოვიძიოთ

ხალხის ნათქვამი და იქვე, ხალხის თვალის წინ, მივიღოთ შესაფერი ზომები და ამით დაეამშვიდოთ აბოზოქრებული ბრბო. ამას გვავალდებს აწინდელი ცხოვრების განსაკუთრებული პირობა, დროს ვითარება გვიწვევს ხალხში, ხალხს სწყურია ცოცხალი, წრფელი, შტკიცე და გაბედული სიტყვის გაგონება ქეშმარიტების შესახებ და ჩვენის მხრით ამ შემთხვევაში კვლავინდებურად კაბინეტი და მართვა ეკლესიისა, დიდი დანაშაული იქნება წინაშე ღვთისა. დიმიტრი ეპისკოპოსმა ერთობ შორს დაიჭირა ესეთი მოსაზრება თავისი თანამის. და გადაჭრილად სთქვა — „მე ვერას გზით მაგის თქმას ვერ გაუბედავ ექსარხოსაო“. ვინ იცის, მართლა რომ თავის დროზე ეფიქრათ რამე ჩვენ მღვდელმთავრებს, იქნება დღეს ლომის კარელი და ჯუმათის ძვირფასი ისტორიული ნაშთები ხელიდამ არ გამოგვცლოდა და საქართველოში არ მომხდარიყვნენ ისეთი თავ-მოსაქრელი აქტები ჩვენი ველურობისა და უკულტურობისა, როგორც ეკლესიების შეგინება, ხატებს თოფით დახვრეტა, უნამუსო ძარცვა-გლეჯა და სულ უბრალო რამეზე ერთი ერთმანეთის ხოცვა-ყლეტა.

დაუბრუნდეთ ისევ ყოვლად სამღვთაელოს მოგზაურობას. ცუდმა გზებმა, ცხენზე ჯდომამ და ბევრგან ფეხით სიარულმა დიდად დალა ეპისკოპოსი. მას მეტი აღარ შეეძლო ცხენით მოგზაურობა და ამიტომ გადაწყვიტა კეჭეყმაძის საბლადოჩინოს მიტოვება და გადასვლა ოზურგეთის ოლქში, სადაც ყოველგან ფაიტონით შეიძლებოდა მოგზაურობა. ესეთი თავისი გადაწყვეტილება მისმა მეუფებამ გადასცა კეთილმოწყვესებს მ. ანდლოლაძეს და სერ. გალოგრეს, რომლებიც წარუდგნენ მღვდელმთავარს ციხის ეკლესიის გალავანში.

პირველი დასათვარიელბელი ეკლესია ოზურგეთის საბლადოჩინოსი იყო კახურის მრევლის ეკლესია. ციხიდან კახურამდე ყოვლად სკმღვდლო ჩავიდა ფეხით ეკლესიაში კაცი არ დახვედრო.

ნეტავი დაგანახვა პატივცემულო მკითხველო, რა ობოლი და უპატრონოა კახურის ეკლესია ტრიად მინდორში, გარშემო ოთხ-

ხუთი ვერსის მანძილზე ეკლესიის მახლობ; ლად ერთი ერთი მოსახლე არ მოსჩანს და არამც თუ კაცის ხმა, მამლის ყვილი და ძაღლის ყეფაც არსაიდან ისმის. ოდესღაც ამ ეკლესიას გარშემო ხვევია მოსიყვარულე შეილებივით მრევლი, მაგრამ შემდეგ მთელი სოფელი აყრილა თავისი ბარგი ბარხანით და ჩასახლებულა სამუდამოთ ქ. ოზურგეთში. იმ დროში ხალხს აზრად ჰქონდა ეკლესიის გადატანა ახალ ბინაზე, მაგრამ გამოჩენილან ვილაცა უკულმართი პირები და დაურწმუნებიათ უფიცი ხალხი, რომ თუ ეკლესიას ხელი ახლეთ, დედაბუდიანათ ამოსწყდებითო და ხალხსაც იმ დღიდან თავისი სალოცავის ქირისუფლად გაუხდია მინდერის ქარი. ეკლესიაში არავითარი მოწყობილობა არ არის და შიგ ერთი ღერი წმინდა სანთელი არ მოიპოვება. ყველაფერი გვარწმუნებს, რომ არამც თუ მწუხრი და ცისკარი, წირვაც ძალიან იშვიათია ამ ტაძარში. ყველა ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ მრევლში მღვდლობს სემენარიაში კურს დამთავრებული. ნუ თუ ამ დალოცვილის შეიღს არ შეეძლო მრევლისათვის ჩაეგონებინა ეკლესია გადაეტანა იქ, სადაც თითონ სახლობს? ამას, ვგონებ, დიდიშრომა არ სჭირდება, მაგრამ არც ამისთვის შეწუხებულა და არხენად ჯირითობს ცხენით ოზურგეთში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ერთად ერთი მაგალითი არაა სემენარიელი მღვდლესა და მრევლს შორის ხიდის ჩატებისა, ერთი მეორეზე დაშორებისა და გაყრისა. ბევრგან, სადაც კი სემენარიელ მღვდლებს ახალი ჯამაგირი უგდიათ ხელში, მთლად მიუწებებიათ თავი მრევლისათვის და თუ მრევლმა არ მიაკითხა მღვდელს სასიკვდილო ზიარებისა, დამარხვისა, მონათვლისა და ჯვარის წერისათვის, თვითონ მღვდელს აღარ ახსოვს თავისი მრევლი და არც ქადაგება, არც ხალხის სწავლა განათლება აღარაფრად აღონებს მას. ქართულ პრესაში ხშირად გაისმის ხოლმე გოდება, სემენარიელები აღარ მიდიან ღვდლად და რა უნდა გააჩიგონ იმათ, ვინც კონდაკსა და კურთხევანს არ გასცილებიანო. დიდად სასურველი და სასარგებლოა ხალხისათვის

შეგნებული სამღვდლოება, მაგრამ ჩვენში სემენარიელებს ბევრით არაფრით გამოუჩენიათ შეგნებულობა და, თუ მართალს ვიტყვით, პირველი მაგალითი მღვდლობის მოვალეობის შემოფარგვლისა მხოლოდ და მარტოოდენ გარეგნულ წესების შესრულებით უმთავრესად სემენარიელმა მღვდლებმა შემოიღეს.

დიდად დაღონებული ნახული ეკლესიი<sup>1</sup>ა და შკოლის არა სანუგეშო მდგომარეობით, ყოვლად სამღვდლო ვაჟნარის გზით წაბძანდა ოზურგეთში. ბლად. სოლომონ ანდლულაძემ გზაში შემოაგება ფაეტონი. დასასვენებლად და ღამის გასათევად მისი მეუღეობა პირდაპირ ბლად. ვალოგრეს ბინაზე მივიდა.

თორმეტ მარტს დილის ცხრა საათზე ეპისკოპოსი ინახულეს ოზურგეთის მაზრის უმფროსმა და ქალაქის თავმა.

(შემდეგი იქნება).

## ენის გაჩენა.

სხვა და სხვა ხალხი სხვა და სხვანაირათ გამოხატავდა ხოლმე ანუ აღნიშნავდა იმ ნიშანს, რომელიც ახდენდა შთაბეჭდილებას, მაგრამ კანონი ერთი და იგივე მოქმედებდა ყველგან და ყველა ერს შორის. მაგალითად რუსული სიტყვა „птица“ და ქართული სიტყვა „ფრინველი“ აღნიშნავს საგანს, მაგრამ წარმოდგარია ეს სიტყვები ამგვარათ: ადამიანმა შენიშნა ამ საგნის ანუ არსების მოქმედება ფრენა და ის ხმები, გაიგონა, რომელსაც ისმენდა ფრთების მოძრაობით, ეს მოძრაობა რუსმა გამოხატა იმ ხმებით რომელსაც აღნიშნავს ასოები „пт“, ქართველმა კი „ფრ“-თ. ავიღოთ მეორე მაგალითი რუსული სიტყვა „кукушка“ და ქართული „გუგული“. ეს სიტყვები ცხადათ ამტკიცებს, რომ ამ ფრინველის ხმა „куку“ ანუ „გუგუ“ არის აღნიშნული ენის შექმნის დროს, განსხვავება მხოლოდ გამოთქმაშია. ასე რომ ამ შემთხვევაში ძირი სიტყვებისა ერთი და იგივეა,

მხოლოდ გამოხატულება ანუ გამოთქმა სხვა და სხვა. ეს სხვა და სხვაობა ანუ წარმოთქმათა განსხვავება არსებითი მხარე არ არის ენისა, რადგან შინაარს არ შეეხება და აიხსნება ჰაერის ანუ სხვა და სხვა გარემოებათა გავლენით ადამიანის ყანყრატოს და სასას მოწყობილებაზე. ასე რომ დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ენის წარმოდგომაში ერთი და იგივე კანონი მოქმედებდა ყველგან.

ამ კანონის თვალსაჩინოთ დასასაბუთებლათ არ შეიძლება გვერდი აუაროთ გვარების წარმოდგომას. შევადაროთ ქართული და რუსული გვარები: ქორიქ Ястребовъ, მშვიდობაძე = Смирновъ = (Кротковъ), მგელაძე = Волковъ, ხარაძე = Быковъ, ტალახაძე = Грязновъ, კბილაძე = Зубовъ, კეთილაძე = Добротинъ (Добронравовъ) ყვავაძე = Вороновъ (Воронинъ). და სხვა... რით უნდა აიხსნას ასეთი მსგავსება გვარებისა?\*) აქ ორი აზრი შეუძლე ბელია, უსათუოდ უნდა ვსთქვათ, რომ ერთი და იგივე ნიშნები იხმარა ყველამ გვარის აღსანიშნავათ. ეს რომ ასეა, ამას სხვათა შორის, ის ფაქტიც მოწმობს, რომ დღესაც სოფლები ში იციან ხოლმე გვარების გადარქმევა და ზოგს მარტო წარქმეულ გვარებს უძახიან ხოლმე. თუ დაუკვირდებით და გამოვიკვლევით ეს ასე ხდება: შეამჩნევენ კაცს რაიმე განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევ ნიშანს და შეთხზვენ ახალ გვარს. მე თითონ მივაქციე ყურადღება ამ გვარ შემთხვევებს და სწორეთ ამ რიგათ გაჩენილა გვარები: ბღვერაშვილი (მათი წინაპარი ბღვერია კაცი იყო), ძაღლეიშვილი (მათი წინაპარი ძაღლივით ღრენია კაცი იყო და სახელათ ძაღლუკა დაერქვა, შემდეგ მის ჩამოშვებობა წაერქვა ეს გვარიო...), ჭანგიანი, დეჭია, ჩიტაშვილი და სხვა, ასეთი მაგალითები მეტათ ხშირია ზემო იმერეთში და რაქაში.

ამ გვარათ ენა წარმოდგა შემდეგი სა-

\*) შენიშვნა, ყოვლად შეუძლებელია მიღებულ იქნეს ის შემცდარი აზრი, ვითომც გვარები ნათარგმნი იყოს, ანუ ერთ ერს მეორის გავლენით შეეთხზას გვარები.

ით: პირვანდელი ხალხი შენიშნავდა საგნის ერთ რაიმე შესატყობ ნიშანს და ამ შთაბეჭდილებას გამოხატავდა ხმებით. პირველად გაჩნდა სახელი არსებითი ანუ საგნის სახელები, თუმცა ძირი ამ სიტყვებისა, როგორც ზევით ვსთქვით, აღნიშნავდა საგნის მოქმედებას ან თვისებას. პირვანდელი უძველესი ენები იყო ვიწრო სიტყვების რიცხვით ანუ რაოდენობით და მარტავი შინაარსით. სიტყვა პირველ ყოფილ ენებში შესდგებოდა თითო ოროლა მისაგან ანუ ასოსაგან, შემდეგ გართულდა ენა, ლექსკონიცი გაფაროვდა და სიტყვებიც ბევრი ხმებით გამოიხატა. უძველესი ენა ჩინეთური ამტკიცებს ამას რომ ძველათ ერთი ხმაც სიტყვას შეადგენდა და საგანს აღნიშნავდა.

პირველ ყოფილი ენა განვითარდა და დღეს ვხედავთ შემუშავებულ ენებს. ენის განვითარება ემორჩილებოდა კანონს, რომელსაც მეცნიერებაში ეწოდება „თანდათანობითი განვითარების კანონი“. ამ კანონის ძალა გამოიხატება იმაში, რომ ყოველი მარტივი ფორმა თანდათან რთულდება და შეუწყვეტლათ მიდის წინ. ამ კანონის ძალით თანდათან განვითარდა და დღესაც ვითარდება ყოველი მხარე ცხოვრებისა და სხვათა შორის ენაც. აი მოკლეთ ისტორია სხვადასხვა ენების გაჩენისა და მათი განვითარებისა.

ხალხი ჯგუფთა ჯგუფათ იყო დაყოფილი, ყოველი ჯგუფი ცალკე საკუთრათ ჰქმნიდა და აწვითარებდა ენას, ეს იყო გონებრივი მუშაობა და ამ მუშაობაზე დიდი გავლენა ჰქონდა სხვადასხვა გარემოებას, რომელშიდაც იყო ერის ცხოვრება, უმეტესათ კი ჰავის და ადგილის მდებარეობას. როგორც ერთი ადგილი (მხარე) არსებითათ განირჩეოდა მეორესაგან ისე ენა ერთი ერისა, როგორც ნაყოფი მისი გონებრივი მუშაობისა და ვარჯიშობისა, განირჩეოდა მეორე ერის ენისაგან, ეს განსხვავება ეხებოდა ენის შინაარსსაც და გამოთქმისაც, მაგალითად, ბუნებას დიდი გავლენა აქვს ადამიანის ყოველ მხარეზე: გარეგნობაზე, აზროვნებაზე, მოქმედებაზე და სხვა, აზროვნებაზე გავლენა სხვათა შორის ენასაც დაეტყო,

რადგან ენა, როგორც ზევით ვსთქვით, აზროვნების ანუ გონებითი მუშაობის შედეგია. ერთი ერის აზროვნებაში ოცნებას ანუ გამოხატველ ნიქს ექირა მეტი ადგილი, მეორესაში განყენებით მოქმედებას, ერთ ერს მეტი მიდრეკილება ჰქონდა პოეზიისაკენ, მეორეს ნაკლები და სხვა. ასე რომ ერის გონებითი მოქმედების სხვადასხვაობა დაეტყო ენასაც. მაგალითად, რომ შევადაროთ ორი ძველი დიდებული ენები ბერძნული და ლათინური, ცხადათ დავინახავთ რომ ბერძნული ენა არის ნაპღვილი პოეზიის ენა, ენა მოსიკალური და სიუჟეტესოთ მოწყობილი კაცის სხვადასხვა გრძობათა ლელვის გამოსახატავათ. ასეთი თვისება არა აქვს ლათინურ ენას, თუმც ლათინური ძლიერ შინაარსიანი, ფართო და შემუშავებული ენაა. კანონმდებლობის და უფლებრივ ცნებათა გამოსახატავათ იგი შეუდარებელი ენაა. ასეთსავე განსხვავებას შევიშნავთ, თუ შევადარებთ ებრაულ ენას და ჩინეთურს და სხვას... აჰ გვართ წარმოდგა სხვადასხვა ენა, ყოველმა ერმა განავითარა საკუთარი ენა, ენა შეიქნა ერის სულის და გუგულის გამოხატველი იარაღი, ენაში გამოიხატა ერის საზოგადოებრივი შემოქმედებითი ნიქი და მთელი მისი სულიერი შინაარსი. უხსოვარ დროშივე გაჩნდა ხალხური სიტყვიერება, ლექსები, ზღაპრები, იგავ არაკები, ანდაზები, გამოცანები და ამ ნაწარმოებში სხვებით გამოიხატა სახე ერისა. ასე რომ ენა შეიქნა უკვდავი სურათი მომავლადი ადამიანისა და ამის მეოხებით მშერლობამ შეინახა სახე ყოველი ერისა და ყოველი ისტორიული დროისა. გაჩნდა სხვადასხვა ენა, ყოველი ენა ცალკე დღითი დღე ვითარდებოდა, იცვლებოდა, ფაროვდებოდა და ენაში იხატებოდა შემოქმედებითი ძალა ხალხისა. თუმცა ყველა ენები ვითარდებოდა და მათ განვითარებაში ერთი და იგივე კანონები მოქმედება, მაგრამ სხვა და სხვა რთული მიზეზებისა გამო, ერთი ენა მეორეზე უკეთ ვითარდებოდა ამ გვართ ერთი ენა შედარებით მეორესთან, როგორც ადამიანთა ჯგუფი მეზობელ ჯგუფს უახლოვდება ერთი ერი მეორესთან ამა თუ იმ

კავშირს, იქერდა ისე ენა—ეს საკავშირო იარაღი-უახლოვდებოდა მეორეს და უკავშირდებოდა. როგორც ერთი ერი მეორეს ეტოქებოდა და ებრძოდა, ისე ერთი ენა მეორეს შეეერთა, შეებრძოლა და ამ გვარათ შეიქნა ენათა შორის ცილობა, შეიქნა ბრძოლა. აი რა ხასიათის იყო ეს ბრძოლა!

ენათა შორის დამოკიდებულებაში მოქმედობდა კანონი „ბრძოლა ანსებობისათვის“. ეს კანონი რთული კანონია და მას დიდი ფალოსოფიური სარჩული აქვს, მაგრამ მდბიოთ ამ კანონის ძალა და მნიშვნელობა ასე უნდა წარმოვიდგინოთ.

ყოველ საგანს, რაც კი არსებობს ქვეყანაზე, აქვს ის თვისება, რომ თავისი არსებობა შეინახოს; თვისება, რომელიც შეიძლება ასე გამოვსატყვათ „ძალა ანსებობის შენახვისა“ (сила сохранения энергии)\* აქვს ყველა საგანს, რომელიც კი არსებობს, მაგრამ ზოგ საგანში ეს ძალა უფრო მეტია, ზოგში ნაკლები, ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ყველა საგანს სულიერია იგი თუ უსულო აქვს სხვა და სხვა იარაღი, რომელთა საშუალებით იგი არსებობს და თავს იცავს, ერთი საგანი მეორეს ებრძვის არსებობისათვის, ერთ საგანს რომ ალაგი უჭირავს, ის ალაგი მეორე საგანს უნდა დაიჭიროს და ამგვარათ ხდება შეჯახება, სადაც უეჭველათ გაიმარჯვებს ის საგანი, რომელსაც მეტი იარაღი აქვს თავის დასაცავათ და უკეთ არის მოწყობილი არსებობისათვის. მაგალითად, როდესაც ჩვენ ჯოხს დავარტყამთ ბალახი ისრისება, ისპობა, ხოლო როდესაც რკინის იარაღს დავკრავთ ხეს, ხე იშლებს, ირღვევა და ისპობა. ეს მიტმრომ ხეს ბალახთან შედარებით მეტი აქვს არსებობისათვის ძალა. რკინასთან შედარებით კი ნაკლები. ამგვარათ თუ ჩაუკვირდებით დავინახავთ რომ ქვეყანაზე არის ბრძოლა არსებო-

\*) შენიშვნა. ეს კანონი „сила сохранения энергии“ კარგათ და საფუძვლიანათ აქვს დასაბუთებუბული ფალოსოფოს-სოციოლოგს სპენსერს. ეს კანონი ერთი ძირითად კანონთაგანია პოზიტივეურ ფილოსოფიაში.

ავტ.

ბისათვის და ამ ბრძოლაში ძლიერი საგანი იმარჯვებს და სპობს სუსტ საგანს. სულიერ საგანთა შორის კიდევ უფრო თვალსაჩინოა ეს კანონი. ადამიანს მაგალითად აქვს სურვილი შეინახოს თავისი არსებობა (სიცოცხლე) ამასთანავე ადამიანი აღტურვილია ათასიერი იარაღით, რომელთა საშუალებით ის თავის არსებობას იცავს და ამარცხებს იმ საგნებს, რომელიც გზაზე ეღობება და ხელს უშლის მის არსებობას. ასეთი იარაღები ზოგი გარეგნულია მაგალითად, ფრჩხილები, კბილები, ხელები, თვლები და სხვა; ზოგი შინაგანი: გონება, ნიჭიერება, ენა და სხვა. ადამიანი სხვა და სხვა ურიცხვს საგანს სრესავს და ამარცხებს, ხოლო როცა ის შეეტაკება ისეთ მოპირდაპირეს, რომელსაც იგეთივე კარგათ მოწყობილი იარაღები აქვს, როგორც მას, მაშინ თითონ ადამიანი რჩება ხოლმე დამარცხებული. მაგალითად, ფიზიკურ შეტაკებაში ნშირად ადამიანს ამარცხებს მხეცი, ხოლო გონებრივ შეტაკებაში ადამიანი მოხერხებით ოსტატურათ იმორჩილებს მხეცს. ნადირობა და მხეცთა გაშინაურება არის ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი. ბრძოლა არსებობისათვის არის ის საზოგადო კანონი, რომელსაც ემორჩილება ცხოველების განვითარება. ენების განვითარებაშიდაც მოქმედებდა ეს კანონი და ამის გამო ერთი ენა მეორეს ამარცხებდა, ერეოდა და თუ არ სპობდა, იმორჩილებდა მაინც. ენისათვის საბრძოლველ იარაღს შეადგენს: მწერლობა, ბეჭდითი სიტყვა (ეურნალ-გაზეთი), პოლიტიკური ძალა ერისა, სივრცე იმ ადგილისა, სადაც იხმარება ესა თუ ის ენა, შინაარსი ანუ სიმდიდრე ენისა და სხვა. რომელ ენასაც მეტი აქვს ეს საბრძოლველი იარაღები ის ენა ყოველთვის გამარჯვებული რჩება ბრძოლაში და თუ მან არ მოსპო სხვა ენები ან დაიმორჩილებს მათ ან ზედ გავლენას მოახდენს. ეს ჩვენი აზრი რომ უფრო ცხადათ დავასაბუთოთ, ამისათვის მოვიყვან ორ მაგალითს ერთს ძველი ისტორიული დროიდან და მეორეს ჩვენი ებლანდელი ცხოველებიდან. ძველათ იტალია იყოფოდა რამდენიმე ნაწილათ, ერთ ნაწილს,

სადაც იყო ქალაქი რომი, ერქვა ლაციუმი; თუმცა ყოველ ნაწილში სხვა და სხვა ენა იყო, მაგრამ ლაციუმის ენამ დაიმორჩილა თან და თან ყველა გარშემო მყოფი ნაწილებისა ენა და გაიფუტა იტალიაში, ეს ლაციუმის ენა გადაიქცა ლათინურ ენათ. ეს მოხდა მისთვის რომ ლაციუმს ჰქონდა მეტი პოლიტიკური ძალა, იქაური ენა უფრო განვითარებული იყო და ცხოვრებაშიდაც ძლიერ საჭირო, სუსტი ენები მოსპო ლათინურმა, მაგრამ როცა ბერძნულ ენას შეეცაქა, აქ კი ვერ გაიმარჯვა, რადგან ბერძნულ ენასაც ჰქონდა საკმაოდ ის საბრძოლველათ საჭირო იარაღები და ამიტომ ამ ორ ენას უთიერთშორის სიცოცხლის გადამწყვეტი ბრძოლა არა ჰქონიათ; მათ შორის ბრძოლა უფრო მშვიდი, კულტურული იყო და ამიტომ ეს ორი ენა მუდობლურათ იყვნენ. ავიღოთ შეორე მაგალითი ჩვენი ცხოვრებიდან. ქართული ენა დღეს ებრძვის ერთი მხრით ოსურს, სვანურს, აფხაზურს და მეგრულს <sup>1)</sup>, მეორე მხრით—სომხურს და თათრულს. პირველ შემთხვევაში ქართული იმარჯვებს და კიდევ ვხედავთ, რომ ოსური ენა ამოდენი ხანი გადის არ გამოუშვა ვიწრო ფარგლიდან და სასიცოცხლო ფესო არ გაადგმევია, სვანური ორ კლდეს შუა ჰყავს დატყვევებული და ლამის მთლათ მოახრჩოს; მეგრულს და აფხაზურს დღითი დღე უსპობს ნიადაგს. ეს რატომ? მიტომ რომ ის საბრძოლველი იარაღები, რომელიც ზევით დავასახელებთ აქვს ქართულ ენას და არა აქვს მის მატოქარ ენებს; სულ სხვაა ბრძოლა ქართული ენისა სომხურ და თათრულ ენებთან. აქ ქართულ ენას არ ეკუთვნის უპირატესობა ძალისა და ამიტომ ქართული იძულებულია შეუთანხმდეს ამ ენების აწსებობას. გაუწიოს მათ კულტურული ბრძოლა და მთ გვერდით იარსებოს.

**ტ. ჯაფარიძე.**

(შემდეგი იქნება).

<sup>1)</sup> შენიშვნა. სვანურს და მეგრულს შეცნიერულად ენა არ ეწოდება, ეს არის შტო ერთი ძირითადი ენისა, მაგრამ ლაპარაკში რომ ცალკე ენათ ვიხმართ ეს დიდი შეცდომა არ იქნება.

# წაღმა-უკუღმა.

მოთხრობა კ. წუთისოფლელისა.

## I

—ბიჭო! მე კი არა შენ არა ხარ მგონია ქკუაზე. —მრისხანედ უთხრა წითელ-წვერამ, —მე ვლ-პარაკობ აგერ ჩემთვის და შენ რომ მქჩებები, ხო არ უქმევია იორდანეს რამე შენთვის?... თუ იმით მოგწონს თივი, რომ რალაცეებს ლაპარაკობ ცხოდში და ხალხი ყურს გიგდებს, მაგით მე ვერ მომაწონებ თავს.

—სისო, შენი საქმე გასაკვირია სწორეთი რაებს უნობ, კაცო, შენ ამ საღამოს? იორდანეს რა მოუცია ჩემთვის? ის კი არა და ორჯელ არ ჩავსულვარ მის ოჯახში. თუ მიცემაზეა საქმე, შენთვის უფრო მოუცია იმას. შენ არ იყო, მაზარა მოგიტანა და თელი ორი წელიწადი გეცვა, მაგრამ ამაში არ არის საქმე. ნემსივით მომესობა გულზე, როცა კაცი უსამართლოთ დეიწყებს ლაპარაკს. იორდანეს თუ კაი ცოლშვილი ყავს, კაი ოჯახი, ბევრი ქონება აქ, ეს, მართალია, ბედი? მაგრამ ეს ბედი მისი გაქედილია. ჩვენ რა ჩავვარნილვიყავით ამ ბედში, მაინც იმდენი გვექნებოდა, რამდენიც ახლა გვაქვს. იცი, რა თქვა ჩვენმა უჩიტელმა? „ბედმა რომ ოქრო ნიჩბით მოგაყაროს, თუ ქკუა არ გაქვს, ისე დაგეყარება, რომ ერთ კაპეიქსაც ვერ ისარგებლებო“. ტუულია ეს, თუ იცი? რამდენია ასეთი! ორდენსთვის რო გეხარბება მისი შრომით მოწეული ქონება, ჩვენთვის რა წაუტმევია? ღმერთმა შეარგოს მისი ნაშრომი.

—კიდევ დამიჩემა ქკუა! რა ქკუის კოლოფი იორდანე შეიქნა, რომ მისთანა ქკუა არავის ექნა ღუნიაზე. მიქელია ქკვიანი იყოვო! იმის ქკუა ის იყო, რომ ორი ქკევა მიწა ქონდა და ისიც დოუხსნელი! ახლა არ შეიხსნა იორდანემ? ქკუა, ქკუა! ნუ გეშინია, შენახვის ქკუა ყველას აქ.

—შენ მაინც შენსას უნობ და მე რა გიყო. შენ ყოველთვის მიწის შეხსნის, ლომის და ლობიოს ამბავში ხარ და ამისანა კაცს

ბედი არაფელს აძლევს. მიქელიას მიწა არ დაუტოვებია, მარა იმისთანა, ქონებაც არავის მიუცია შვილისათვის. შენც ისე გაზარდე შვილი, შეატრიალე და გადუშვი ქიშკარში, მერე იმისას შენ ნურაფელს იკითხავ, იმისი ბედი ყოველგან გახსნილი იქნება, მიქელია ღარიბი ყოფილა, თვარა ქკუა არ კლებია. ჩვენი უბედურობა ისაა, რომ ვინც ღარიბია, ყველა უქკუო გვკანია. მიქელია თურმე ოცდაათი—ოცდათუთხმეტი წლის უკან უნობდა, რომ შვილს დაბადების დღიდანვე უნდა გაზდაო და მაშინ თურმე უნობდენ: „მიქელია გადარეულაო“; ახლაც არავის გონია, რომ ძუძუ-მწოვარ ბოვშს ძუძუს მეტი თუ რამე უნდა, მარა ერთი მიდი უჩიტელთან და წაკითხიე ბოვშის გაზღის წიგნი, რაფა გეღიროი...  
— წიგნები და უჩიტელი რო დეიწყეს მას მერეა თლათ რო ავშენდიო... ყველაფერი კაი, მარა შენ თუ ასეთი ქკვიანი ბრძანდები, თავათ რეიზა არა ხარ გაკეთებული?

— მე არც ქკვიანი ვარ და არც ბედს ვემდური, არც სხვის ქონება მეხარბება... თოხს თუ ტარი არა აქვს, მითი მიწას ვერ მოთოხნი. ქკუა რო მქონდეს რას მიკეთებს, როცა ხასიათის სიმტკიცე არა მაქ; ან სეიდან მექნება კაი ხასიათი, როცა პატარაობიდან არა ვარ კაი გაზღილი. მე რომ ამდამ ვინმემ საქეფოთ დამპატიჯოს, სახლის გამქურდავს რო მოველოდე, მაინც წავალ... შარშან რომ გიორგობაზე დავთვერი, ჯარში ჩხუბი ავტეხე და თავი გამიგლიჯეს, ქკვიანობა იყო ის? მიდი და შენ აქნევინე ის იორდანეს! სუყველამ ვიციოთ, რომ ავი ავია, მარა რაცხა ეშმაკი არ გვიჯერის. ეს ისაა, რომ ბოვშობაში უპატრონოთ ვართ გაზღილი და დიდობაში ძალიან ძნელია ხასიათის გასწორება.

— ჰე! კაი კაი, ძმო, არც შენი ქკუას გოუკეთებია რამე და არც იორდანესას, მოედვა და ხელი მოკიდა, გათავდა. დალამდა აგერ, წავიდეთ სახში, შეშა ჩამოუბოთ ქალებს, თვარა უფახ მშოთ დავრჩებით, —სთქვა მოხუცმა და წამოდგა.

— შინ, მამა, შინ, რასაც ღმერთი არ მოგცემს, ძალით ვერაფელს იშონი, ვერა... შენ უჩიტელთან რო დარბიხარ ჩქარ-ჩქარა იმიზაა, რომ ასე მსხვილად ლაპარაკობ, მარა არც იქიდან გამოდის რამე, უთხრა შავ-წვერამ ახალ-გაზდა გლეხს და გასწია.

— მშვიდობით! მშვიდობით! ვინც გეიგებს იმისთვის გამოვა და ვინც ვერ გეიგებს, ის ტყუილა ბედს ნუ ემდურის. მე არ ვთქვი ქინკა აჯის შენ ბედს მეთქი? ჯერ შელოცვა უნდა ისთავლოთ, რომ ქინკა მოშორდეს ბედს და მერე ბედი თვითონ ამოგლეჯს და მოგინათებს. ირონიით სთქვა ახალგაზდა გლეხმა და ისიც გაუდგა თავის გზას. გლეხებო დაიშალნენ.

რა ბედი იყო ის ბედი, რომელზედაც ასე ცხარედ მსჯელობდენ გლეხები. ან რა აღზრდა, იყო ის აღზრდა, რომელიც მიუცია იორდანესთვის მამას, რაც დიდ საბუთად მოჰყავდა ახალგაზდა გლეხს?

იორდანეს მამისეული მართლა არასფერი არ დარჩენოდა სახარბიელო, მაგრამ ერთი-რამე ქი მეტად ძვირფასი განძი დარჩენოდა მამის ქონებიდან. ეს იყო ხასიათის სიმტკიცე, სიმართლე, შრომა და მეკადინეობა. მიქელიას ძალიან კარგად სცოდნოდა, ბუნებითი მიხვედრილობით, თუ როგორ უნდა აღზრდილიყო აღამიანი, რომ ცხოვრებაში გამოსადიგი ყოფილიყო და აი მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მის ერთადერთ ვაჟისპატარაობიდან აღზრდას. მას ინსტიტუტური მიხვედრილობით ესმოდა, რომ ბავშვს თიქთმის დაბადებიდანვე, ხორციელ აღზრდასთან ერთად, სულიერი აღზრდაც ექირვება და ცოლსაც სულ-მუდამ იმას ეჩინებოდა, რომ შვილი მისი დარიგებისამებრ აღეზარდა. მან თითქმის გაუზებირა ცოლს მისი აზრი და შეხედულობა ამ საქმის შესახებ... „აწი კმარა, — ეტყოდა ხან და ხან დაჯინებული დარიგებით განაწყინებული ცოლი ქმარს, — გვევივე რასაც უნობ; ჯერ სწავლა კიარა, არ დაბადებულა ბოვში, რადროს მაგის საწვლაზე ლაპარაკიო“... მაგრამ ქმარი არ უჯერებდა: „არა, არ კმარა. ქამა კმარა, სმა კმარა, ყველაფერი კმარა და სათავლა არ კმარა; ის კიდევ შვილის გაზღის

სთავლა არ კმარა და არაო,—ბეჯითად უშტკიცებდა ქმარი ცოლს. აგერა ი ლაყუნა ბიჭები რომ დეიარებიან, იმისანა სულ არ მყავდეს მიჩვენია, არ გემეზარდოს უკეთესია და თუ შენ დედა ხარ, თუ შვილი გიყვარს, ისე გამიზარდე ეს ჩემი იოდა, რავაც მე გეუბნები. შენ იმას ნუ უყურეფ, ი დედაკაციბი რძეს ჩააწველიან პირში და კუთხეში რომ მიაგდებენ, ერთ კვირეს რომ არ იქყვიროს ბოვშმა, ერთ კვირეს არ მეიძებნიან... ამას გაზდა არ ქვია. შვილებს მშობლები რომ კარკათ ზდიდეს აღამიანები ანგელოზები იქნებიან და ქვეყანა სამოთხეთ გადიქეოდა, მარა არ ზდიან კარკათ და იმიზა, რომ ქვეყანა ეშმაკებითა სავსე... დათვებს არჯულბენ, ფრინველს აშინაურებენ და პურტყულს აწყკბიებენ, თვარა აღამიანმა რავა არ უნდა ასთავლოს? მარა ამას უნდა განაჩენი თავში, იცა განაჩენი? ვინ ჩამოთვლის იმას რა და რა უნდა შვილის გაზდას, მარა ვინც ამას კარკათ დააკერდება, ვისაც ამისი სურვილი ექნება, ის თითონაც კარკათ მიხვდება, რავა უნდა შვილს გაზდა... ბოვშს არ უნდა მოაშვიო, მარა არც ისე უნდა გაასისინო, რომ ვერ ისუნთქოს; როცა ტირის ყური არ უნდა მეიყრუო, უნდა გეიგო რა ეტირებს, თვარა ბრაზიანობას დეეჩვევა. მხიარულათ უნდა გაზარდო, მარა სულ კი არ უნდა ახტუნ—ათამაშო, ქარაფშუტა გამოვა; დრო და დრო ჩაფიქრებული სახე უნდა უჩვენო... რავალიც დედ-მამა შვილიც იმისანა გამოვა; როცა სხვას ზდი, თვითონ შენ გაზდახედაც უნდა იფიქრო, დედ-მამის ხასიათი და ქცევა პირდაპირ გადაიქვს ბოვშს მაშინ, როცა შენ არც კი ფიქრობ, რომ იმას შენი რამე გეეგება. შეხედე ბარბალეს შვილს, ჯერ ლაპარაკი არ იცის და გამოხატული დედაა, ჯლაგუნა, \*) თავათ იმნაირი ჯლაგუნა დოუწყია ბოვშსაც. თუ შენ სულელურად იქცევი, იცოდე შვილიც სულელი იქნება. კარკს და ავს ძუძუსთან სწოვს ბავში. პირველი საქმე დედაა, მერე მამა; თუ დედამ საქმე გააფუტა, მერე არც მამას შეეძლება რამე

\*) გაუთვლი.

და თუ შენ ქმარ-შვილი გიყვარს, სანამ მე გადმომცემდე ბავშს, ხელი არ დააკლო და მერე ჩემ საქმეს მე თვითონ მივბეჭდი. მშობლებმა შვილის ხეირიანათ გაზდაში რაც გინდა დიდი ჯაფა გაწიონ, შრომა ას წილათ შეუფასებათ და თუ უხეიროთ გაზარდეს, ნადირისაგან ვის რა ხეირი დეეყრება? მშობლებს სიცოცხლეს ჩოუმწარებს და თითონაც დეიტანჯება. ასეთ აზრებს დღეში რავდენ-ჯერმე უბეჯითებდა ქმარი ცოლს.

(შემდეგი იქნება).

## წერილი ლეხუმიდგან.

ჩვენსკენ სასიამოვნო ნამუშევარია. ხალხს თუმცა დიდი ხანია, რაც სარჩო შემოაკლდა, მაგრამ რადგან მოსავალს კარგი პირი უჩანს-იგი ძლიერ გამხხვედა. რაც გვალვამ დაგვაზა. რალა, წელს წვიმამ გვასიამოვნა... პურები ისეთია, რომ უკეთესი კაცის თვალს არ უნახავს... კობისა კი ეშინია ყველას. ხალხი ამბობს: „მადლობა ღმერთს, საწყალს ხალხს ის არ გასწირავსო, თუმც ამ ცრუ ნასწავლებმა საქმე გაგვიქირეს ურწმუნოებითო“...

სწორეთ ამისთანა დროსაა საჭირო, რომ მოძღვარი დარაჯად უდგეს ხალხს და ურწმუნობას შეებრძოლოს. მაგრამ, სამწუხაროდ ეს ასე არ არის და ჩვენ სულ წინააღმდეგს ვხედავთ... მღვდელი აღარ მღვდელობს და აბა რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ მისგან!...

ჩვენებურ მღვდლების უსწავლელობასთან ერთად სხვაც ბევრი რამ სიკეთე აკლიათ. შური, მტრობა, ერმანეთის გაუტანლობა, დაბეზლება და ამგვარები, საუბედუროთ, ჩვენს სამღვდელოებაში ძლიერ მაგარი ფესვებით ხარობენ და სატანურს ნაყუფს იძლევიან.)

„დუქანში“ და ძმა ბიჭებთან დენის სმა ხომ ზოგიერთებისათვის ძლიერ სასიამოვნოა... მართალია გვყანან ფაქიზნი მოძღვარნი, მაგრამ ცოტანი და მათი კეთილი აზრი ამდენს ურწმუნობასთან იხუთება, კვდება...

მაგალითები ავიღოთ. ერთი მღვდელი

მეორეს ადგილს ეცილება (მრევლს) და ხალხი უჯანყებს, ამისათვის ის ფულსაც ხარჯავს; მეორეს სხვისი სიკეთე ეხარბება და სცდილობს წააშინოს მესამე, მეოთხე და მეხუთე „ბლადოჩინობის“ სურვილით გამსჭვალულნი ყოველ გვარ მდაბალ საშუალებას ხმარობენ მოძმის დასაღუპავად, რათა სხვის უბედურებაზედ თავიანთი ბედნიერება ააშენონ! მაგრამ კშპაკის გზა ღვთისაგან წყეულ არს!...

ამას წინეთ ერთს უკადრის სამღვდლოების დამახასიათებელს გარემოებასა ჰქონდა ადგილი ჩვენ კურთხეულ მაზრაში. რამდენიმე დიდების მოყვარე და ბლადოჩინობის მძებნელმა მოძღვარმა ჯერ ურის დუქანში და მერმე ღვინის სარდაფში მიტინგისებური შეკრებილება გამართეს, თან სხვა მღვდლებიც მიიზიდეს. შეიქნა სმა, რომლის დროსაც ბევრი საგულისხმო სიტყვები წარმოითქვა. ერთი შეზარხოშებული მღვდელი ამბობდა: „მე ბედნიერზე არ წარმადგინა ბლადოჩინმა და ის არ მინდა ბლადოჩინადაო“. მეორე გაიძახოდა: „ყველაფერი მაგას აქვს, ნაბლიუდატეობა, ბლადოჩინობა, გამოძიებლობა, „ზაკონოუჩიტლობა“, სუდში ევ აფიცებს კიდევ რამდენი, ჩვენ-კი არაფერი“?. შემოსულ კაცს უნდა ჰქონდეს ყოველივე თანამდებობა და ჩვენ, აქაურებს-კი არაფერიო“. მესამე დაღაღებდა: „მე თუმცა მისის წარდგინებით ჯილდო მომეცეს, მაგრამ ეხლა დეკანოზობაზედ აღარ წარმოადგინა და ვინც დეკანოზობას მომცემს, იმას აღვირჩევ ბლადოჩინადაო“. მეოთხე ძალზედ გასძახოდა: „ჩემმა შეილიშვილმა ეკლესია გატეხა და ბლადოჩინი რომ არა, პოლიცია ვერ დაიპირავდა მასაო“! მეოთხე მღვდელი გაჰკიოდა: „მღვდელი მიჩიოდა ფულსებსა და ბლადოჩინმა ეპისკოპოსს ჩემი თავი „დაშტრაფინაო“. მეექვსე პანს აძღვედა: „გამოძიების დროს ბლადოჩინმა მხარი არ დამიპირა, ევ ზალხს უფრო ესარჩლება და რათ მინდა მაგისთანა ბლადოჩინიო“. მეშვიდეც გაიძახოდა: საბჭოელი რაც აქვს ჩვენ ბლადოჩინს, პარში მოგვაცურის და არ გვეფერება, მოგვეფეროს და გასწორდეს (?) თორემ არ გვინდა ბლადოჩინ-

ნადაო“ კიდევ ვინ ჩამოთვლის, რამდენი რამ არა საკადრისი ითქვა „დუქანში“ მოძღვართაგან მდაბიო ხალხის გასაკონად... საკმარი იყო ღვინის სმასთან ერთად რამოდენიმე ამაღელვებელი სიტყვები, რომ წინადაც გამოძიებარ საჩივარზედ ხელი მოწერაათ.

გასაგონათაც ძნელია, რაც ჩვენებურ ზოგიერთ მოძღვართა შორის ხდება! ამ გვარ საქმეებზე ხომ მზათ არიან? აბა ერთი სინჯეთ, რაიმე სასარგებლო საქმეებში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეთ! ცივ უარს არ გაკმარებენ, ერთს კარგათ შეგლანძღავენ! როდესაც ამას წინეთ სამღვდლოებას წინადადება მიეცა ზნეობრივ განმანათლებელ ძმობის წევრებად ჩაწერისა, ყველამ დიდის რიხით უარი განაცხადა!! მოლა და გააკეთე რამე ამ გვარ სულიერ მოძღვრებთან!...

გიორგივთ, სულიერნო მოძღვარნო, პირდაპირ თქვენ დანიშნულებას მოჰკიდოთ მაგრათ ხელი და ინტრიგანობა—საჩივრობას თავი დაანებოთ. არავის ნება არა აქვს უნარ მოკლებულს სხვას შეუშალოს ხელი მუშაობაში... დროა შევიგნოთ ეს მცნება...

მღვდელი.

## ჭეშმარიტი გზა.

სხვები ხედავენ ცხოვრების მიზანს და მის ძირითად მოტივს კეთილ საქმეში. ღნდა ითქვას, რომ კეთილი საქმე, მორალი ზვით მოდური ტენდენციაა თანამედროვე უმრავლესობისათვის. ვინ და არ დაპარაკობს ეხლა კეთილ საქმეებზე? ვინ არ მოუწოდს მისკენ, და არ უნდა კეთილი უყოს სხვას? სახელ-განთქმულ თანამედროვე რუსეთის მწერალ დევ ტოლსტოისთან ერთად ბევრი გამოადგომია მორალს და ფილოსოფიას მოაღებურ თემებზე. ზნეობა და ზნეობრივი წესწყობილება, — ამბობს ერთი თანამედროვე რუსეთის მღვდელმთავარი, — ხდება თანდათან კეთილგული

საზოგადოებისთვის საინტერესო სავანად; და აი პოეტება, ფილოსოფოსები და სოციოლოგები ეკიბრებიან ერთმანეთს, რომელი მიწვდის მკითხველებს ასეთ მასალას, რომელი უფრო დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებას.\* (ეპ. ანტონი). მიუხედავად ამისა, მაინც, თანამედროვე ხალხის ცხოვრებაში არამც თუ არა სჩანს არავითარ ზნეობრივ პროგრესს, პირიქით, ვხედავთ ჩვენ ისეთ დაცემას ზნეობისას, ისეთ სულიერ მოხოხრებას, რომ ძნელათ თუ შეიძლება, ისტორიასახსოვდეს ასეთი დრო. ჩვენ ვცხოვრობთ ეხლა საშინელი გარყვნილების დროს და ვხდებით მოწამე დანაშაულობისა. გარყვნილობა აღჩნობს ქალაქს, მძიმე დანაშაულობა კიდევ მოდებულია ცეცხლივით მთელ მხარეში. გაველურება ზნეობისა ეტყობა არა მხოლოდ დიდრონებს, არამედ—ბავშვებსაც. ერთი ცნობილი ეკლესიის ორატორთაგანი, ახასიათებს-რა თანამედროვე ხალხის ყოფა ქცევას, სამართლიანად უწოდებს მას მემრუშედ. ის შესაძლებლად სთვლის ჩვენ საზოგადოებაზედაც ითქვას სიტყვები სენეკასი, რომელიც თავის თანამედროვე ხალხის ზნეობის შესახებ ამბობს, რომ მორცხვობა და უმანკოება გაფრინდნენ ზეცას, და ალალ-მარალობა ხომ სრულებით აღარ იყო. ჩვენი მქადაგებლის სიტყვით, კაცობრიობის ისტორიაში გამოვჩხომე ისეთი საბედისწერა ხანები, როდესაც მემრუშე, უძღები შვილებით აღსავსეა ცხოვრება, როდესაც მწერლობა, ზნე და ჩვეულებანი, ლაპარაკი და აზრები გაუღწეულია გარყვნილობისა და უსირცხვილობის სისაძაგლით. ეხლა უნაშუსობა პირდაპირ ქუჩაზე გამოვიდა. ქუჩებში, მაღაზიების ფანჯრებში, რკინის გზების სადგურებში, მითომდა მწერლობისა და განათლების გავრცელების სახით, განცხადებულად იყიდება საზიზღარი სურათები მრუშებისა, იყიდება წიგნები, რომლებშიაც აწერაღია მრუშება, გაზეთებში ხომ პირდაპირ იბეჭდება განცხადებანი მრუშებაზე. მრუშება დადის თავხედი, გამარჯვებული. მას აღარ ეშინიან ღვთისა, აღარ რცხვენნიან ხალხისა; იგი ავსებს გარყვნილობით ქუჩებს, შკოლებს, ოჯახს,

სცენას, მწერლობას... მაშ საიდგან წარმოდგება ასეთი შეუფერებელი, გაუფუჭებულ ზნეობრივი სინამდვილე, როდესაც, როგორც ზემოთა ვსთქვიო, ჩვენი საზოგადოება ძალიან დაინტერესებულია ზნეობრივი წესწყობილების კითხველით? რა თქმა უნდა, ერთი და იგივე არ არის ზნეობაზე ლაპარაკი და ზნეობით მოქცევა. მაგრამ საქმე ამაში არ არის, საქმე, იმაშია, რომ სინამდვილესა და საზოგადოების კეთილ განზრახვათა შუა დიდი განსხვავებაა. საქმე მთლად იმაში მდგომარეობს, რომ კეთილი საქმე და ზნეობა, როგორც სწავლაც, არ არის რაღაცა თავისთავად საკმაო, არავისაგან დამოუკიდებელი რამე, არამედ იღებს თავის მნიშვნელობას სხვა შეურყვეველ დასაბამიდგან, უმაღლესის ავტორიტეტიდგან, რომელიც არ არის დამოკიდებული დამიანთა ცვალებადი და რყვეადი აზრებისა და გემოვნებათაგან. ზნეობით-ა იგი, რაც კეთდება კაცის თავისუფალი ნებით, მასთან უმაღლესის, უტყუარის, უაღრესის კანონის ძალით, რომელიც არის ღვთაებრივი კანონი, ანუ კანონი, რელიგიოზური სარწმუნოების ავტორიტეტით ნაკურთხი. თორემ სხვა ფრივ, არ იქნება ნამდვილი ზნეობა, არამედ გამოვა დაბალი ხარისხის ანუ, თუ შეიძლება ასე თქმა,—უზნეობო ზნეობა, ესე იგი, ვგრედ წოდებული, ზნეობრივი ოპპორტუნოზმი, იძულებით გამოწვეული თავის საკუთარი ანგარიშით; ან არა და, ყოველი დამიანი თავის საკუთარ ზნეობას გამოაცხადებს, რასაც მოჰყვება შედეგად ისეთი ზნეობრივი არეველარევა, ისეთი ზნეობრივი ბაბილონი, რომელიც ახლოს იქნება ყოველივე ზნეობის უარყოფასთან, რაიცა ხდება ჩვენს დროში, როდესაც ისეა არეული ერთმანეთში კეთილისა და ბოროტების ცნება, რომ ის, რაშიაც ერთი ხედავს კეთილს რა მიანი ზნეობრივით, სწორეთ იგივე მეორეს ეჩვენება უზნეობოდ. თუნდა ბევრიც ილაპარაკოს ხალხმა დამოუკიდებელ სინილისზე, ან მოვალეობისა გრძობაზე, რომლებითაც ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ ცხოვრებაში, —ყოველივე ესენი საუთუოა, ცვალებადია და თვით საქროებს უმაღლეს დამაკანონებელ ავტორი-

ტეტს. ეს ხომ ცხადია, რომ გონებრივად ერთნაირად განვითარებულ ადამიანებს, ერთნაირ მდგომარეობაში მყოფთ, სინილისი შეიძლება სხვა და სხვანაირი ჰქონდეთ: ერთს — ფაქიზი, კეთილი, მეორეს — დახშული, ბიწიერი. ამნაირათვე მოვალეობის შეგნება სხვადასხვა პირს სრულიად სხვა და სხვანაირი აქვს. ჩვენ დროში ეს ყველასათვის ისე ცხადია რომ ამის დასაბუთება სრულიად მეტია. ამა ყური მიუგდეთ ქუჩებზე ლაპარაკს, გახევის ხმას და საზოგადოდ ბეჭედილი სიტყვას, — და თქვენ დაინახავთ, რანაირი არევიანობა გამოეფეხებოდა, რანაირი ანარჩიაა, რანაირი თავისუფლებაა სინილისისა, რანაირი სხვადასხვაფერი და უცნაური წარმოდგენაა მოვალეობის გრძნობისა. მაგრამ, — იტყვის ვინმე, — სინილისი და მოვალეობის გრძნობა დამშვიდებულნი არიან და კმაყოფილებიან იქ, სადაც უფლებაა. გარნა, იბადება კითხვა, რა არის უფლება? იგი აგრეთვე სუბიექტიური და სათუთა მასზე აქვს ხალხს წარმოდგენა სრულიად სხვა და სხვანაირი. საჭიროა მისთვის ისეთი მისაყრდნობი, რომელიც მალა იქნება ადამიანის ცვალებადი აზრებისა. „ჩემს გარეშე არ არის უფლება“, ამბობს თანამედროვე საზოგადოებაში ცნობილი მაქს შტირნერა. მეორე მისი თანამოაზრე ამბობს: „რაც ინდივიდუალს მიაჩნია უფლებად, ის არის უფლება. ძალა პირველობს უფლებაზე და ამაზედ აქვს სრული უფლება. აი ჩემი სწავლა. რა არის სიკეთე? რა არის ბოროტება? ყოველივე ეს მხოლოდ ოცნებაა კაცის აზრისა. ყველანი ჩვენ სრულნი ვართ; ცოდვილები სრულებითაც არ არის. ქეშმარიტებას, რომელსაც უნდმ ვემორჩილებოდა, მე არა ვცნობ“... ან კიდევ, მაგალითად, აი რას ამბობს არციბაშევის რომანში გამოყვანილი მოქმედი პირი: „მე ვიცი მხოლოდ ერთი: მე ვხედავ და მინდა, რომ სიკოცხლე წვალება არ იყოს ჩემთვის... ამისთვის ყველაზე პირველად საჭიროა კაცმა დაიკმაყოფილოს ყველა თავისი ბუნებრივი მონდომილებანი... მონდომილება ყველაფერია: როდესაც კაცმა კვდება მონდომილება, მაშინ მისი სიკოცხლეც კვდება, და როდესაც

კაცი ჰკლავს მონდომილებას, იგი თავის თავსა ჰკლავს“. თუ ის მართალია, რომ მწერლობა წარმოადგენს ჩვენ ნამდვილ ცხოვრებას, ისე, როგორც იგი მიუდინარეობს, მაშასადამე, ცხადია, რომ ასეთი შეხედულობით და ასეთი მსჯელობით ყოველივე უფლება შეუძლებელია, ყოველივე უფლება უარყოფილია. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არ ექნება მნიშვნელობა, ეგრეთ წოდებულ, ზნეობრივ პასუხის მგებლობასაც, რომელზედაც უნდათ დაამყარონ თავისი მსჯელობა დამოუკიდებელი, ავტონომიურ მორალის მიმდევართ. რის წინაშე იქნება ზნეობრივად კაცი პასუხის მგებელი, — წინაშე სინილისისა, თუ გონებისა?! მაგრამ სინილისიც და გონებაც, თუკი ისინი თავის თავად მოქმედობენ და არ ემორჩილებიან უმაღლესი ძალის და უმაღლესი სიმაღლის მოთხოვნილებას, არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ყოფაქცევის მტკიცე საფუძვლად, და ჩვენ მოქმედებათა შეუცთომელ მსაჯულად, რადგანაც არც ერთი მათგანი სრული არ არის, პირიქით, ორივენი სუსტნი არიან, და მიდრეკილნი ცთომილებად. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა ვიცნათ, რომ პირველი ნიშანი ზნეობისა არის თავისუფალი დამორჩილება უმაღლესი ღვთაებრივი ნებისა, ძალდაუტანებლათ შესრულება უმაღლესი, ღვთაებრივი კანონის ბძანებათა. ამიტომ ზნეობა განუყოფელია რელიგიიდან, რამდენსაც უნდა ეწინიადმდეგობოდნენ ამას დამოუკიდებელი, თავისუფალი მორალის მიმდევარი. აქ იმალება დრმა და არსებითი განსხვავება ზნეობისა და გუმანობის შორის. ზნეობა არის დაფუძნებული რელიგიოზურ კანონის დამორჩილებაზე, სარწმუნოების ავტორიტეტზე, გუმანობა-კი — კაცის შეზღუდულ, და ხშირად ცოდვით დაბნელებულ, გონებაზე. აქედან აღვიღად გასაგებია შეუსაბამობა ერთის მხრივ ცივილიზაციის და მასზე დამყარებული გუმანობისა, და მეორეს მხრივ, ზნეობის შორის. ჩვენ დროს სამართლიანად სთვლიან ცივილიზაციის უმაღლესი აღყვავების დროდ. ჩვენ საუკუნეს უძახიან გუმანიურ საუკუნედ, მაგ-

რამ მას არას გზიო არ შეიძლება ვუწოდოთ ზნეობრივი საუკუნე. ზნეობრივად ჩვენი „მორალური“ დრო თითქმის უფრო დაბლა სდგას იმ ზნეობრივ გაფუჭებულ ხანებზე, რომლებიც კი ახსოვს ისტორიას. და ეს ასეც უნდა იყვეს, იმიტომ რომ ძველიდან ყურძენი არ იკრიფება და შალარას მკენარიდან — ლელი. „ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხოლო ხემან ბოროტმან ნაყოფი ბოროტი გამოიღოს: არ შეუძლიან ხესა კეთილსა ბოროტი ნაყოფის მოტანა, არც ბოროტ ხესა კეთილი ნაყოფის გამოღება“. საზოგადოდ, რაც შეეხება დამოუკიდებელ მორალს, უნდა აღინიშნოს, რომ მის მიმდევარებმა, რაც უნდა სოფისტიკური საკუთებით გაამართლონ იგი, მაინც ამას არ ძალუძს გვაიძულოს ნამდვილი ზნეობრივი ღვაწლისადმი, ვერ გვაიძულებს ჩვენი თავის შევიწროებას. რაც უნდა მოხერხებული სოფ. ზეგები იხმარონ თანამედროვე მორალისტებმა, კაცი ამ სოფიზმებზე ყოველთვის ბატონად იგრძნობს თავს, და ერთი მისი ახირების შებერვა მთლად დაფუშავს ამ ქალაქის სახლებს, აშენებულებს მოსაზრებებით ტოლსტოისა, ფურიესა, სპენსერისა, ციკლერისა, ლიტერესა, კონტისა და სხვათა მათთანაა.

(შემდეგი იქნება).

მლ. იოანე ლუკიანოვი.



**ვაგუალებ**  
**სამოვლელთა სალიაპონო**  
**საბნეპუი,**  
 აგრეთვე სამასწავლებლო-  
 ეგზეკუენის ასაღებად.

ადრესი: ქუთაისი, კახაკოვის ქუჩა, № 17

Типография Кутаисскаго религиозно-просвѣтительнаго „братства“ Тифлискаго дома Киришова

### განცხადება.

„ზინაური სქამეპის რედაციაში“

- იყიდება შემდეგი წიგნაკები:
- 1, წიგნი წიგნთა ფასი — — 5 კაპ.
  - 2, სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის არსებობა — — — 5 კაპ.
  - 3, ქრისტე ღმერთია? — — 10 კაპ.
  - 4, ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში — — — 10 კაპ.
  - 5, ათეიზმი, მისი წარმოშობა და გაელენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე — — — 10 კაპ.
  - 6, სიკვდილი მართლისა — — 5. კაპ.
  - 7, პატარა ქრისტიანი — — 2. კაპ.
- ვინც ერთად ოც ცალს ან მეტს დაიბარებს მანეთზე აბაზი დაეთმოზა.



რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მხედლიძე**.  
 გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**

### ОБЪЯВЛЕНИЕ.

ХУДОЖЕСТВЕННАЯ И ИКОНО-  
 ПИСНАЯ МАСТЕРСКАЯ  
**А. И. ЖИРЯКОВА**

Въ гор. Кутаисѣ

принимаетъ заказы на иконы и стѣн-  
 ную живопись всякой художественной  
 работы по весьма умереннымъ цѣнамъ.

Имѣются одобрителныя отзывы отъ  
 преосвящ. ЛЕОНИДА, настоятелей  
 монастырей и соборовъ.